ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ.

№ 37 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 27, 1895 Წ. № 37



ᲐᲮᲡᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲣᲢᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲫᲦᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲕᲠᲔᲑᲐ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: მცირე კრედიტის მნიშვნელობაზე, გოდერძი გლურჯიძისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—სუფრადღეები ამბები.—იტალიანი ჭაბუკი (ლეკსი) ილ. ჩე—ლისა.—მფრინავი ცოველები.—მომავალი საჭირველის შესახებ მოქმედების პრაგრამა, ბალტაზარისა.—ბსიჰიოლოგიური ეტიუდ, ან. დეკანოზიშვილისა.—წერილი სტამბოლიდან, ისე რაჭველისა.—შეცდომის გასწორება.—განცხადება.

მცირე კრედიტის მნიშვნელობაზე

ᲒᲐᲚᲐᲮ-Ს ᲥᲝᲜᲔᲑᲠᲘᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ-ᲒᲐᲜᲔᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲡ ᲠᲝᲚ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲐᲛᲘᲡ ᲣᲐᲠᲐᲧᲝᲤᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲗ ᲥᲝᲜᲔᲑᲠᲘᲗ ᲛᲝᲠᲐᲚᲘᲗᲔᲑᲨᲘ ᲝᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ: ᲔᲠᲗᲘᲗ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲡᲐ ᲡᲬᲔᲡ, ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲡ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲙᲘ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲠ ᲤᲐᲡᲘᲡ ᲐᲜ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ. ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲡ ᲐᲜ ᲜᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲘᲛ ᲜᲐᲘᲠ ᲥᲝᲜᲔᲑᲠᲘᲗ ᲛᲝᲠᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲔᲤᲝᲓᲘᲗ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲔᲡ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲤᲐᲡᲘᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲓᲠᲝᲘᲗ ᲓᲐᲨᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲛᲐᲒ. ᲓᲔᲘᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲑᲔᲭᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲔᲡ ᲓᲐ ᲑᲔᲭᲐᲜᲘ ᲙᲘ ᲤᲣᲚᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔᲡ, ᲗᲘᲗᲔᲡ ᲐᲜ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ. ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲐᲮᲚᲝᲜᲓᲔᲚ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲤᲣᲚᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲬᲘᲡ ᲡᲐ-

ქმე, ამიტომ კრედიტი უმეტეს ნაწილათ ფულისაა, ერთი მეორესგან ან ფულს სესხულობს ან ფულს უფრო გვიან იხდის.

კრედიტი მარტო წარმოებას კი არა, ჩვენ კერძო ცხოვრებასაც კი ასულდგმულებს და იმავე სამსახურსა სწევს, როგორსაც ფული. უკრედიტოთ ხალხის ცხოვრება ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია. მწარმოებელს ნაღდათ რომ დაჭირვებოდა საქმის წაყენა, ვერც გაიერცელებდა თავის წარმოებას და ვერც მტკიცეც და როგორ ნიადაგზე დააყენებდა მას. ხალხის სიმდიდრეს თუ ეუფუერეთ, უნდა აღეიროთ, რომ ყველგან და ყოველთვის კრედიტს ხალხის გამდიდრება დაუჭირავია და, მაშასადამე, ხალხისათვის დიდი სასარგებლო ყოფილა. *)

ხალხის სიმდიდრეს შეადგენს ადამიანის შრომით გაკეთებული ნივთები, საქონელი, რომელიც საჭიროა სხვა-და-სხვა მოთხოვნილებათ დასაკმაყოფილებლათ. კრედიტის საშუალებით წარმოება ძლიერდება და ხალხს აღრინდელზე მეტი ახალი საქონელი ემატება წელიწადში.

ერცელი წარმოება კერძო მწარმოებლის მუშაობას რომ შეეადარათ, ეგასაეთ, რომ პირველში საქონლის გაკეთება ბევრათ უფრო იაფი ჯდება. მაშასადამე იმავე ფულით მეტი საქონლის გაკეთება შეიძლება. წარმოების გაერცელება, დიდ ქარხნების დაარსება მეტ საქონლის გაკეთებას უნდა მოასწა�. სადაც დიდი ქარხნებია გაერცელებული, იქ ხალხის ქონებას ყოველ წელს მეტი ახლათ გაკეთებული საქონელი უნდა ემატებოდეს, ხალხი უფრო მალე უნდა მდიდრდებოდეს... ამ ქამათ არაა მეცნიერი, რომელიც ჰფიქრობდეს, რომ დიდი ქარხნები ხალხის სიმდიდრისათვის სასარგებლო არ ყოფილიყოს. წარმოება ხალხისათვის აუცილებელი რამაა, და, რაც ამ წარმოებას უწყობს ხელს, ხალხის სიმდიდრისათვისაც სასურველი და სანატრელია.

ფული ხშირათ იმ ნაირ ადამიანის ხელში ეარდება, რომელსაც მისი რაიმე საქმეში გამოყენება, მითი რაიმე წარმოების დაწყება არ შეუძლია. კრედიტის საშუალებით ეს ფული გამოცდილ და მარჯვე კაცის ხელში გადადის და უფრო კარგათ მოხმარდება ხალხის ქონებრივ გამდიდრებას. უკრედიტოთ კი ეს ფული მეკატრონეს უქმათ დაურჩებოდა ჯიბეში, ან და მიწაში ჩაფლული ქანგსა და ხავსსა მოიკიდებდა *).

ბევრ საქმეს იმდენი ფული ჭირდება, რომ კერძო ადამიანს ძვირათ თუ მოენახება, მაგ. რკინის გზის გაყვანა, დიდ არხების ამოთხრა და სხ. კრედიტის საშუალებით კი საჭირო ფულის შეგროვება აღვილია.

ყოველივე ახლათ დაწყებული საქმე თავში ძალიან ნაკლებ სარგებლობის მომტანია. ხშირათ მოხდება, რომ ორი ან სამი წლის განმავლობაში მას ზარალიც მოჰქონდეს. კრედიტი რომ არ ყოფილიყო, ამნაირ კაცს ფულს აღარაკინ მისცემდა, ახლა კი მას ენდობიან, რადგანაც დარწმუნებულნი არიან, რომ ორსა ან სამ წელიწადში, მას ფული შემოუვა, და ეალის გადახდაც შეეძლება.

ახალი მანქანის გამოგონს, ის რომ გამოიყენოს, ფული არა აქვს. ფულის მესაკუთრე მას ასესხებს თავის ფულს და ახალი მანქანა ხალხს სიმდიდრეს მოუმატებს.

ახლანდელ დროში ერცელი წარმოებაა გაერცელებული. ერცელ წარმოებით დიდ ქარხნებში გაკეთებული საქონელი უფრო იაფია, ყველელი კი ბაზარზე იაფ საქონელს ეტანება. ამიტომ ახალი საქმე შეძლებისდაგვარ ერცელი უნდა იყოს, რომ ბაზარზე იაფი საქონელი გამოვიდეს და ამ ნაირათ ახალმა ქარხანამ ძველ დიდ ქარხნებს და წარმოებას ქიშპობა გაუწიოს. ფული კი ისე წერილ-წერილათაა გაფანტული საზოგადოებაში, რომ ერცელი

*) სესხია, მკეთესელმა არ დაიკარგოს, რომ სალხის სიმდიდრეზე, ქონებაზე დაბრალეა. ამიტომ ამის არ გარჩევ, რამდენათ სასარგებლოა კრედიტი ხალხის ზნეობისა და ეონებისათვის, რადგანაც ეს ჩემ უმთავრეს საკითხად მოიხმარება. კრედიტის ამ მხრივის მნიშვნელობის გასარჩევათ ცალკე სტატია საჭირო და მეგნიერებაში ჯერც კარგათ გამორკვეული არ არის ეს საკანი. ᲮᲯᲒ.

*) საზოგადო კრედიტის მნიშვნელობას რომ შეეკერებით, მაკლდითთ უფრო ფულის გასესხებას მოვიგებ, რადგანაც ეს კრედიტის ერთ-ერთი ლარგი, ცხოვრებაში უფრო ხშირათ მიაზიდავს ჩვენს უურადღებას. ᲮᲯᲒ.

წარმოების დასაწყებათ საჭირო ფული ძველათ თუ ეისმე ექნება. კრედიტის საშუალებით ეს დაფანტული ფული რამოდენიმე კაცის ხელში გროვდება, ახალი ქარხნები არსდება, ბევრი ახალი საქონელი კეთდება და ამ ნაირათ ხალხიც თანდათან მდიდრდება.

მაშასადამე, კრედიტი ხალხს სიმდიდრეს უმატებს ან, უკეთ რომ ეთქვათ, კრედიტის საშუალებით და მეოხებით ხალხს სიმდიდრე უფრო მალე ემატება, ხალხი უფრო მალე მდიდრდება.

ხალხის სიმდიდრე და ამ სიმდიდრის საზოგადოებაში განაწილება ერთმანეთში შესარეკი არ არის. ხალხის სიმდიდრეს, როგორც ეთქვა, შედგენს ყოველი ადამიანისაგან მის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ გაკეთებული ნივთი, საქონელი, ამ ნივთების რაოდენობა კი მთელ ხალხში უცვლელათ დარჩება იმის და მიუხედავათ, თუ როგორაა განაწილებული ეს რაოდენობა საზოგადოებაში. შეიძლება ერთი წლის განმავლობაში ხალხის სიმდიდრე არ გამოიცვალოს, მაგრამ იმავე დროს საზოგადოების ერთმა ნაწილმა გაკარგოს მეორე ნაწილი. თუმცა ამ ნაირ შემთხვევაშ საზოგადოების ერთი ნახევარი გაღარიბდა და გაღატაკდა, მაგრამ ხალხის სიმდიდრე უცვლელათ დარჩა.

ზემოთ, კრედიტს მნიშვნელობას რომ ეარჩევდი, „ხალხის“ სიმდიდრე მქონდა სახეში. ხალხის გასამდიდრებლათ კრედიტი დიდათ სასარგებლო და ხშირათ მოსახმარისა ყოფილა. მაგრამ ის კი არ ეცოდ, სიმდიდრის რა ნაირ განაწილებას ხელს უწყობს კრედიტი, რა ნაირი შედეგი აქვს კრედიტის გავრცელებას მუშა, მშრომელ ხალხისათვის, რომლის შრომით და ოფლითაა აშენებული მთელი ქვეყანა.

ხალხის ქონებრივ ცხოვრებას რომ დავაკვირდეთ, ორ ძალას შეენიშნავთ, ერთმანეთის წინააღმდეგს და მტერსაც. ერთი ძალაა კაპიტალი, ე. ი. წარმოებისათვის საჭირო ფული, იარაღი, მანქანა და მასალა, და მეორე—შრომა. დასაღეთ ეეროპის ისტორია გვიჩვენებს, როგორ თან და თან ეს ორი ძალა ერთი მეორეს შორეულ შორეულ ზოგადოებაში, საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის ხელში გადადიოდა და ამ ორ ძალების წარმომდგენელი მეკაპიტალე და მუშა ერთმანეთის მოსისხლე მტრათ იქცა. უწინ მუშა რომ საკუთარ სახლში, საკუთარ მასალას მუშაობდა და საქონლის ფასს თვითონ იღებდა, ახლა მას ყოველ ღილე ქონება ეკლება ხელიდან; ჩვენს ღროში მუშას ცხოვრების სახსარი სხვა არა დარჩენიარა, თუ არ მისივე შრომა, რომლითაც დღიური ლუკმა პური უნდა იშო

ოს; მუშა ხალხი ახლა ბოგანო ხალხათ ქცეულა, მას არც მიწა აქვს და არც წყალი. ამას გარდა ხელ-მოკლე მწარმოებელმა ძალა უნებურათ გზა მდიდარს უნდა დაუთმოს, რადგანაც უფრო დიდი ქარხნის მეპატრონეს იაფათ შეუძლია გაჰყიდოს თავისი საქონელი; ხელ-მოკლე მწარმოებლის საქონელს აღარაკინ იკიდის. ამ ნაირათ ცხოვრების მიმართულება იმ ნაირია, რომ პატარა ქარხნები გზას დიდ ქარხნებს უთმობენ, ერცელი წარმოება ფესვს იკიდებს, ძლიერდება; ერცელი წარმოება, დიდი ქარხნები უფრო ერცელსა და დიდ ქარხნებს წარმოშობენ ხოლმე. ამ მუდმივ ზრდაში ბევრი მეკაპიტალე კოტრდება. და ყველა იმასა ცდილობს, როგორმე გაიმარჯოს ამ საზარელ ბრძოლაში: მეკაპიტალე, თავის მოქიშპეს რომ ჯობოს, მუშებს დილიდან საღამამდის არ უშვებს ქარხნიდან, ფას მოუმატებლათ მეტს ამუშაებს; თუ შეუძლია, ქირასაც უკლებს და ამით ზეიადდება კაპიტალსა და მუშას შეა ბრძოლა. რადგანაც ახლანდელ ღროში მექარხნე უფრო ბევრი ძალ-ღონის და ფულის მეკონეა, ამიტომ გამარჯვებაც უფრო მას რჩება ხელში და მუშა ხალხი ისეთ საზარელ და გულსაკლავ მდგომარეობაში ეარდება, რომ ყოველ ცოცხალ ადამიანს გულსაზღვრელ სიბრალულს გამოუწვევს და მათ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ ხელს გაუმაგრებს, დახმარების სურვილს აღუძრავს.

სწორეთ ამ სურვილითა გატაცებულია ზოგიერთი მწერალი, როდესაც სრულებით უარს ჰყოფს კრედიტის სარგებლობას ხალხის ცხოვრებისათვის.

კრედიტი წარმოებას ხელს რომ უწყობს, მის გავრცელებას რომ ადვილებს, კაპიტალებს აგროვებს და სხვა, ამით იმ ახლანდელ წეს-წყობილებასაც ასულდგეულებს, რომლის შედეგია მუშა ხალხის დაჩაგრა და გაღატაკება. კრედიტის ბრალია, რომ მეკაპიტალემ ამდენი ძალ-ღონე შეჰკრბა და თავი გაიდა. ყოველივე ხალხის კეთილის მსურველი ეალდებულია გაუთბაროს ძირი ახლანდელ წეს-

წყობილებას, მოშალოს ყოველივე ისა, რაც ხელს უწყობს მას, სხვათა შორის კრედიტიკო.

საკრედიტო დაწესებულების ანგარიშები ვვიმტკიცებენ, რომ საერთო კრედიტით მდიდრები ღარიბებზე მეტათ სარგებლობენო, მდიდრებს ნერხით მეტი ფული გაეკეთო. იმ ბანკებიდანაც, სადაც თანხა ხელ-მოკლე მცხოვრებლებისაგან და მესაკუთრეების და მუშა ხალხის თითო ორ-ორი გროშით შემოტანილი ფულითაა შემდგარი, იქაც ამ ფულით მდიდრები სარგებლობენო. ამ რიგათ მუშა ხალხის ფული მისივე დარაგერას და დაქვეთებას უნდებამ.

საზოგადოთაც კრედიტი იმნაირი რამეაო, რომ შეუქ�ხელში სარგებლობაზე მეტ მაენებლობას მოიტანსო. ხალხმა ფულის ფასი თუ არ იცის, სესხს წარმობას არ მოაბმარსო, დახარჯავს და მისი გადახდა გაუჭირდებაო. კრედიტი სამართებელს ჰგავს, რომელიც უსუსურ ბავშს ხელში არ უნდა მიეც�es.

ესაა მოკლეთ ამათი აზრი. სხვები კი სულ წინააღმდეგს ლაპარაკობენ, თუმცა მუშა ხალხის ეკონომიკა მდგომარეობა იმათაც გულს უწევეს.

კრედიტი, როგორც განყენებული ცნება, ამ-ბობენ ესენი, ყველასთვის, ეინც კი მას მოიხმარს, —სასარგებლოაო. დღეს მართალია, ამ კრედიტით მდიდრები, მეკაპიტალეები სარგებლობენ. დღეს ბანკების წესდება იმნაირია, რომ თითქო სულაც არ ეწუვა ხელმოკლე ადამიანს, ფულს არ ასესხებენ; დღეს საკრედიტო დაწესებულები კაპიტალის გაბმა-ლეერებელნი და მუშა ხალხის დამჩაგვრელნა; —მაგრამ თვით კაპიტალი აქ არაფერს შუაში არის; ამის ბრალი მთ.ოთ ედება საკრედიტო დაწესებულებებს, რადგანაც ეგინი კრედიტს მუშა ხალხსაც არ აწვდენენ. აქ ისევე ცოტა ბრალია კრედიტის, როგორც სამართებელის ბრალი არ იქნებოდა, რომ მის პატრონს მით ყელი გამოეკრა ან და სხეინათვის არ ეთხოვებინა, ეისაც წვერის მოპარსვა უნდოდა. ბანკებში წესდების გამოცელით ადვილია კრედიტი მუშა ხალხსაც მიეცეს, და ამ ნაირათ დღეს მუშმსაოვის საშინი კრედიტი, ხვალ შეიძლება მისივე ხელში ძლიერ მებრძოლ ეარაღათ შეიქნეს. შეიძლება, მუშა ხალხმა ხვალ კრედიტის საშუალებით თავის ეადიდეს მიზანს მიაღწიოს,—კაპიტალი, ან უკეთ რომ ესთქვათ მეკაპიტალე დაანარცხოს და მთელი წარმოება საკუთარ ხელში ჩაიგდოსო.

დღეს ამ ნაირი ბანკები თუ არ არის, ეს კიდევ არ ამტკიცებს, ითქმა ხვალ არ შეიძლება დაარსდეს უკეთეს წესდებიანი ბანკეო. კაკობრიობას უძნელესია ბევრი გამოგონია და არც ეს წარიმალი და ადვილი საქმე შეეარჯებს მის მოდმიე წინსვლასო.

ბაგრამ არც ეგრე გულ-გატეხილობა ეარგაო. ხალხის მოსიყვარულეებს, ბაკა-ბუქის და ყვირილის მა ერ, კრედიტს ხალხისათვის მიწვევენაზე უფიქრიათ და ზოგიერთთა რომ გამოუყენიათ კიდეც. ვამოიჩენილმა ეერმანელმა მ ოიგაწეგ შულცე-დელიჩმა ახალი წესდების ბანკები შემოიღო თავის სამშობლოში; მუშა ხალხმა მ.�ე შეიგნო ამ ნაირი ბანკების სარგებლობა და ახლა მთელ ეერთაბა მოედო შულცე-დელიჩის სახალხო ბანკები. მეორეგ არა ნაკლებათ ცნობილმა მოიეაწეგ, ისევე გერმანელმა, რაიფეიზენმა მოიგონა და განაბორაციელა კიდევ სხვა წესის ბანკები, იქვე სახალხო, ისევ მუშა ხალხისათვის და ხელ-მოკლე მემამულეთათვის, და რადგან მისმა ბანკებმა, რაკი უფრო გულის მომგები და კეთილშობილური ხასიათი დაიმჩნიეს, ამიტომ მასაც ძალიან მოეკიდენ და რაიფეიზენის სახალ ხო ბანკების რიცხეი დღითი-დღე მატულობს დასავლეთ ეერაპია სხვა-და-სხვა კეთილებ ბმოო. ამ ტამთ ალარაეინ იქნება, რომ ამ ბანკების სარგებლობა ეარაყოს, თუნდ მუშა ხალხისათვისაც; მუშამაც კარგათ შეიგნო, თუ რას ეძლეეს მას ეს ბანკები. მეცნიერები გვარწმუნებენ, რომ მუშა ხალ-ხმა და ხელმოკლე მწარმოებლებმა და მესაკუთრეებმა კარგათ გამოიყენეთო ბანკების კრედიტი.

კრედიტის გავრცელებასთან ბრძოლა, მის შეჩერების სურეილი,— ამ მეცნიერების სიტყეით — ლომშინელ ანნაუოს, ნეტარ-ხსენებულ დონ-კიხოტს მოგეგონებსო, რომელსაც შუბით და ფარით ქარის შეჩერება უნდოდა. მართლაც-დ, კრედიტი ახლათ გამოჩეკილი წიწილი არ არის და მხოლოთ ახლანდელ საკაპიტალო წეს-წყობილებასთან შეკავშირებულიო. მანამ არსებობს კერძო საკუთრება, კრედიტის მოშლაც შეუძლებელია; კრედიტმა კი არ დაბადა ახლანდელი საკაპიტალო წეს-წყობილებლება; კრედიტი არსებობდა მაშინაც, როცა მეკაპიტალეს ხსენებაც არ იყო. საკაპიტალო წეს-წყობილებასაც ბოლო მოეელის, მის მაგიერ საამბანაგო წეს-წყობილება დამყარდება, დღეს დანაგრეული მუშა ქარხნების და წარმოების მესაკუთრეთ იქცეეა, სიღარიბე მოიისპობა, კაკობრიობა ბედნიერებასთან ახლო იქნება,—მაგრამ მაშინაც იმ ბედნიერ დროში, კერძო საკუთრება თუ არ მოიშალო, კრედიტი მნიშვნელობას არ მოიკლებს, პირ-იქით მოიმატებს კიდეკიო, რადგანაც მას ფულის მაგიერობა შეუძლიაო.

ამიტომ ამ მეცნიერების აზრით, იმ ნაირი წესდების ბანკებია საჭირო, რომ ღარიბ და ხელ მოკლე მწარმოებლებს და მუშა ხალხს მიეწვდინოსო კრედიტი.

ჩემი პირადი შეხედულება კრედიტზე აქ საჭირო არ არის. ისეთი დიდი ვინმე არა ვარ, რომ ჩემ შეხედულებას ან აყვეს ვინმე და ან წინ აღუდგეს. მგონია კი, რომ ამა თუ იმ წესდებით შეიძლება კრედიტს ესა თუ ის მიმართულება მიეცეს. ვინც ამ აზრისაა, უსარგებლოთ დროს არ დაჰკარგავდა და გააცნობდა საზოგადოება იმ ბანკებს, რომელთაც მიზნათ აქვთ, მუშა-ხალხს და ხელ-მოკლე მწარმოებლებს და მესაკუთრეებს მიაწვდინონ კრედიტი. მდიდრებისათვის ისედაც ბევრია ბანკი: ახლა ღარიბებისთვისაც გვჭირია, რომ ყველამ თანასწორათ ისარგებლოს ამ ძლიერი იარაღით და ამ ნაირათ წარმოება და კეთილ დღეობაც გაავრცელოს ჩვენს სამშობლოს ყოველ კუთხეში.

გოდერძი გლურჯიძე

სხვა-და-სხვა ამბები

პროფესორი ვ. პეტრიაშვილი დათანხმებულა მიიღოს ოძისის მომავალი სამეურნეო სასწავლებლის ვამგებლობა.

***

გიმნაზიაში წელს კურს დამთავრებული ქართველი მაჰმადიანი ასლან კაიკაციშვილი ნოვოროსიის უნივერსიტეტში კნ. ა. ი. ერისთვის სტიპენდიაზე მიუღიათ.

***

პროფესორი ალ. ცაგარელი, რომელიც კავკასიაში იყო რამდენსამე ხანს, ამ დღეებში პეტერბურგშივე გაბრუნებულა.

***

კავკასიის სამოსწავლო ოლქს სასარგებლოთ დაუნახავს, სამეგრელოში სამეურნეო სწავლა-ცოდნა იქნეს გავრცელებული. ამიტომ უმაღლესი ადგილობრივი მთავრობისათვის უთხოვია, რათა იშუამდგომლოს, რომ საერო განათლების სამინისტრომ ნება დართოს და ამ საქმისათვის საჭირო თანხა მომავალი ახალი წლის საერობო ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანოს.

***

სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კომისია შეუდგენია, რომელიც დავალებულია გამოარკვიოს, თუ რა წესით უნდა მოეწყოს კურსები, რა ნაირათ უნდა უკითხონ და ემუსაიფონ ხალხს, რომ მასში გავრცელდეს სამეურნეო ცოდნა.

***

ქუთაისის ადმინისტრაციას უთხოვია უმაღლესი ადგილთბრივი მთავრობისათვის, რომ ქუთაისის გუბერნიაში კიდევ ექვსი ახალი ადგილი გაიხსნეს ბოქაულის თანაშემწეებისა. უმაღლეს ადგილობრივ მთავრობას ეს თხოვნა შეუწყნარებია.

***

პროფესორ ოსტროუმოვს განუზრახავს სოხუმში გულით ავათმყოფთათვის საზამთრო სადგური დაარსოს.

საყურადღებო ამბები

ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲐᲠᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ. ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲔ ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲔᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ

ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲐᲠᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ. ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲔ ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲔᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲠᲗ

არ მინახავს! ბოიერი რომ არ მომიყიდა, იმიზაც წამეყიდა ქმარი, ტყუილი გაეკეთინო, ბეჭილები გადაეტეტინოთ და რაცხა პაუნია, აგიც ქსანი თითო მანათათი გეყიდოო!?.

განსაკუთრებით წელს ყველასაგან გესმოდა ამ ვეარი გულდამწყვეტი საუკეთესო აბრეშუმის სიფოს ვამა. შეკრებილან აბრეშუმის მყიდველები, მოულაპარაკიათ ერთ პირობა ამ ვეარით დაუდეიათ: ქსანს აბრეშუმს ოთხი აბაზიდან მანეთ-ნახევარი ზეეით ნურავინ ეიყიდითო. ასეც მოიქცენ. წრეულს ქსანს აბრეშუმში უმრავლესობას ექვს აბაზს ზეეით არავის აუღია. ამ ბაზრობის წარმოება ერთიანთან დამოკიდებულია იმაზე, რომ მყიდველებმა მწარმოებელთ ხელი არ შეუშალონ. საზოგადოთ ხალხი ღარიბია ფულით, მაგრამ სამაგიეროთ აბრეშუმის მწარმოებელთ ხელს უწყობს ახალი წესით მომზადებული საღი თესლი; ხალხი შეეჩვია ამ თესლიდან აბრეშუმის მოყვანას, და ბლომათაც მოჰყავს აბრეშუმი: ჩვენს სოფელში, მაგ. თითო ოჯახს თუთმბეტიდან ორმეოც-დაათ ქსანზე ნაკლები არ მოუყვანია. აი, ამ აუარებელ აბრეშუმს თუ ბაზარი ექნება, კანონიერ ფასთან გაიყიდება, ეიპართა სიყალბისა და მოტყუების მიზეზით აბრეშუმის მწარმოებელთ გული არ აუტრუედათ, მაშინ აბრეშუმი დიდძალ ფულთან იქცეეა, და ეს ფული სოფლთან დატრიალდება. ამის მისაღწეეად ეგონენ ურიგნი არ იქნება, პატეიცემულმა თ—მა ე. ერისთავმა (რომლის მამულშიდაც ეს ბაზრობა იმართება და რომელსაც ეკუთვნის მთელი ამ ბაზრობის შემოსავალი) იზრუნოს და რამე საშუალება იმაროს, რათა აბრეშუმის მწარმოებელნი არ ატყუებდენ. ერთი წელიწადია, რაც ხონში დაარსდა „მეაბრეშუმეთა დამხმარებელი ამხანაგობა", რომელსაც საგნათ აქვს დაეხმაროს აბრეშუმის მწარმოებელთა. კარგი იქნება, თ. ე. ერისთავი მოიხიდედეს პირს იმით წესდებისას, აუხსნიდეს ხალხს ზემოხეთისა და ქვემოხეთის საზოგადოებისას, რომ შეუეამხანაგდენ ხონის „მეაბრეშუმეთა დამხმარებელ საზოგადოებას", იყიდონ „წილის ბარათები" (პაი), და ამით მეაბრეშუმეთა მიეკემათ საშუალება, კარგი თესლი შეიძინონ და აბრეშუბიც რიგიან ფასთან გაყიდონ... თუ აბრეშუმის წარმოება მკეიცრ ნიადაგზე არ დადგა, აქაური ბაზრობაც თანდათან დაიწეეს, იკლებს და ბოლოს, შესაძლებელია, სულაც გაუქმდეს. ეს ხომ, რასაკეირველია, არც თ—დის ე. ერისთეისათეის იქნება სარეა.

პატეიცემული თავადი ვარლამ ერისთავი გაეღლენანი კაცია და ამ მხრით მის რჩეევა ხალხზე, უეჭველია, გაეღლენა ექნება.

რ. სეკაიაშეილი

***

დ. დიდიკინი. ეინ თქეა, რომ ქართველ კაცს ენერგია და მხნეობა აკლდეს „საზოგადო" საქმეში? მოუხედეათ ადგილისა და „ნაციისა" ქართველი ყველგან და ყველასთან ერთ ნაირათ შრომობს თავის „მოვალეობის" აღსასრულებლათ. ამის დასამტკიცებლათ მოვიყეანთ ადგილობრიეი ბოკეულის ბ. თარხან-მოურავიშეილის მოკმედებას. სულ ნახეევარი წელიწადი არ არის, რაც ეს გამშეენეს ბოკეულთთ, მაგრამ ამ მოკლე ხანში იმდენი რამ გაეკეთა, რაც მის მოადგილეთ ფიქრათაც არ მოსცლიათ რამდენიმე წელს. სხეათა შორის აქ მოვიყეანთ სამ უმთავრეს საქმეს ბ. ბოკეულისას.

1) დ. დილეკანში, როგორც „ცენტრში" ო�d ე. გარშემორტყმეული სოფლისა, აქამდის არ იყო „საზოგადო სასწორი, (საყანთრო), სადაც ყოველ სოფლელს შეძლებოდა თავის ნაწარმოები ალალმართლათ აეწონა და გაეყიდა. ისინი ყოველთვის მყიდველების სასწორზე წონაედენ და, ეს ხომ ყველას მოეხსენება, რა „საწყაუთით" ხელ-მძღვანელობენ გამოცდილი ეაპრები და როგორ ეარჯიშობენ „ოგადკერეენ-გადმოკრეენაში". ახლა რაკი „საყანთრო" გაშენდა შუა გული სოფელში, ყველას აღკრძალეული აქვს „კერძო სასწორზე" აწონა და, ეინც ინებებს,—მას ჯარიმაც გადახდება.

2) ისედაც უსწორ და დაუგებელ ქუჩაზე აქამდის ღამ-ღამობით ძალიან ძნელი იყო გაელა-გამოელა მეტადრე ბნელ ღამეში: შესაძლებელი იყო კაცს ან ფეხი მოეტეხა, ან კისერი. აწ კი, მადლობა ღმერთს, მთეარიანი ღამეც სანატრელი არ არის, რადგან ოკ-დაათმდის დადგმული ფანრები აკაშკაშებენ ქუჩას!..

3) აქაური მართ-მადიდებელთ სასაფლაო მდებარეობს თითქმის ერთ ეერსის მანძილზე საყდრიდან

მერე ისიც, რომ იცოდე მკითხველო, რა „საჯოჯოხეთო“ აღმართის თავზე! სანამდის სასაფლაოამდი აეიღოდენ ჭირის-უფაილნი, მანამდის ათასჯერ დაეცემოდენ ძირს კუბოთი ერთათ! ეგზის უეარგისობა უფრო შესამჩნეი ჰხდებოდა ზამთრობით (თოელი დიდი იცის აქ) და ზაფხულობით ავდრიან ტაროსებში. იმაეე ბ. თარხან-მოუთაეი შეილის მეცადინეობით ეს ნაკლიც თაეიდან აგეცდა: გაკეთებენ „შეენიერი გზა-ტკეცილი, რომელზედაც ტელეფონიც თაეისუფლათ დადიან. ეს ყველა გაკეთდა, მართალია, საზოგადოების ხარჯით, მაგრამ რატომ აქამდის არ კეთდებოდა?..

მიტომ რომ დამრიგებელი და წინამძღოლი არაეინ იყო.

ტ. ი—ძე

მფრინავი ცხოველები

ნაირდ ფრინველებისა ბეერია ისეთი ცხოველები, რომელნიც დაფრინაენ და ჰაერში დანაეარდობენ. მაგ., არის თეეზი (ზღვის მერცხალი), რომელიც ხანდახან წყლიდან ამოეარდება და ჰაერში გაინაეარდებს. მაგრამ უფრო გასაკირეელი ის არის, რომ ძუძუ-მწოვარას გეარის ცხოველებიც დაფრინაენენ. ასეთია, მაგ., ღამურა და ბეერი სხეაც, რომელთ სხეა-და-სხეა სახელი ეწოდებათ იმის-და მიხედვით. თუ რომელ ცხოველს უფრო ემსგაესება მათი გარეგანი პირის სახე. არიან, მაგ. მფრინავი ძაღლი, მელა, ციყვი და სხ. მთელ ქეყნიერობაზე გავრცელებულნი არიან ასეთი ცხოველები. თბილ და ცხელ ადგილებში ისინი ბლომათ მოიპოეებიან, ზომიერ ჰაეიან ადგილებში კი მათი რიცხეი უფრო მცირეა. მფრინაეი ცხოველები საზოგადოთ მბოლოთ ღამით გამოდიან საბრძოლ-საკვების საძებნათ, ღღისით კი სადმე მიუდგომელ ადგილებში არიან მიმალულნი.

მფრინავი ძაღლი.

გარეგანი შეხედულებით ეს ცხოველები უფრო მიმაგენებს ემსგაესებიან ძუძუ ასხიათ. ჩონჩხის აგებულება კი მათი შესამჩნეეთ შეცელილა, რადგან ფრენას შეჩეეეიან. მათი წინა ფეხები საფრენეე ასოთ გამხდარა, ამიტომ სამი თითი წინა ფეხისა, თუ ხელისა შემდგარია მოგრძელო ძელებისაგან. ამ გაგრძელებულ თითებს შუა გაკრუნია თხეელი გარსი, რომელიც აგრეთეე გატარებულია გეერდებზე უკანა ფეხებამდე და რომელიც ფრთების დანაწნულებას ასრულებს. ღამურები და საზოგადოთ მფრინაეი ცხოველები მარდათ და სწრაფათ დაფრინაეენ,—ამ მხრით ფრინველებსაც არ ჩამოუარდებიან, თუმცა კი უკანასკნელებსაეით ძელებში ჰაერის მოსათაესებელი ხერეელი არ მოეპოეებათ. ამიტომ მტრები ამ ცხოველებს ისე ადეილათ როდი ჩაოგდებენ ხელში. ამ სიმარდეს ისიც უნდა მიეშატოთ, რომ ღამურებს ფრიად გაეეითარებული აქეთ სმენა, ყნოსეა და შეხების გრძნობა. ერთი ნაკლულეანება ამ ცხოველებისა ის არის, რომ მათ ფრინველებსაეით ლე�eეი არ შეუძლიათ. ამიტომ საფრინაეი გარსი რომ დროზე და მალე გაშალონ, მაღალ რამეებზე არიან ჩამოკიდებულნი და ამ დროს თაეი ქეეეით აქეთ.

ღამურები და საზოგადოთ მფრინაეი ცხოველები ორი ორი ტოტებებიან ნორჩი ნაყოფეთ, მწერებით (ღამის პეპელებით, ჯუჯუმკალებით, ბუზებით და კო-

ღოებით) და აგრეთვე სისხლით, რომელსაც გამოსწურწნიან ხოლმე მსხვილ-ფეხა ცხოველებს. შეხედულობით ღამურასნაირნი მეტათ უშნო და მახინჯნი არიან, ამიტომ ისინი ყველას ზიზღსა გვრიან. მაგრამ ფრიად სასარგებლონი კი არიან ადამიანისათვის, რადგან ბევრ მავნებელ კოღო-ბუზებს სობენ. არც ის უნდა ჩაეთვალოთ დიდ ცოდვად ამ ცხოველებს, რომ ზოგი მათგანი სისხლს გამოწურნის ხოლმე მსხვილ-ფეხა ცხოველებს და ადამიანსაც, რადგან ასეთი აპერაცია იშვიათათ თუ ვისმე იმსხვერპლებს, თორემ ისე ყოველად უვნებელია,



ᲘᲥᲕᲘᲐᲜᲘ ᲯᲐᲑᲣᲙᲘ

(ᲭᲘᲜᲣᲚᲘ).

ამით მღელავს ზღვის ნაპირას
დგას ჯაბუკი თავ-დახრილი
და საუბრობს ზღვის ტალღებთან
ეტკვით სავსე, დაღვრემილი:
„გთხოოთ განმიმარტოთ ცხოვრებისა მე გამოკანა,
ცხოვრების კითხვა საშინელი, მუდამ მქეჯნავი;
რამდენი კაცი დღღლა ამ კითხვისა კვლევამ,
და რამდენიცა მიაყენა მათ სატანჯავი?!
ვინ ამიხსნის მე საუკუნო საიდუმლოსა
და მეტყვის, რაა თავისთავათ კაცის არსება:
ან როგორ ჩნდება იგი სოფლათ, და ან სად მიდის,
ან ვარსკვლავების ზემოთ, მაღლა ვინ იმყოფება?!“
ზვირთები ბორვენ ჩვეულებრივ ხმაურობითა;
მოაბერავს ქარი, შავი ნისლით მობფრავს ზღვასა;
გულ-ცივათ ბეტუტენ ვარსკვლავები,—და ეს ჯაბუკი
უგუნური კი იქვე დგას და ელის პასუხსა...

ილ. ჩ—

ᲯᲣᲠ თვით პედაგოგიკა, ბატონებო, როგორც მეცნიერება, არხიეს არ ჩაბარებია უსაჭიროებისა გამო და ერთი მიბძანეთ, მისი ნაყოფი, ესე იგი, პირველსაკითხი სახელმძღვანელო განა ბ. გოგებაშვილის ხელში გარდქმა მეცნიერების უკანასკნელ სიტყვათ?..

ყველა დაწინაურებულ ხალხში ისე წელიწადი არ გაიელის, რომ რამდენიმე ახალი ამ გვარი წიგნი არ დაბეჭდოს, მაგრამ არც ერთ ხალხს არ შეუჩერებია მეცადინეობა უკეთესის აღმოჩენისათვის და არც ერთ პედაგოგს ამასთან არ უფიქრია—ჩემი შრომა უკანასკნელია, ნუღარას ღაქმებთ, ეველაფერს იპოეითო!..

მაშ ნუ თუ პედაგოგიკაშიაც ისე, როგორც ბ. გოგებაშვილის სიტყვით სწორე ხელით წერაში პატარა საქართველო ავრეთვე გზის მაჩვენებელი გამხდარა ეროპისაოვის?.. რამდენათაც კარგა ხნის გამოშკარავებული შეცდომილება ბ. გოგებაშვილისა სწორე ხელით წერის შესახებ ღიმილის მომგერელი იყო თავის დროზე, იმდენად მსჯელობა ქართველი ზოგიერთი პირებისა დედაენის შეუცდომელობაზე პედაგოგიკის ყოველ მოთხოვნილებაში ხარხარის გამომწეველია. მართლაც—და ქართველებზე რამდენიმე საუკუნოებით აღრე ფინეველებს, ეგეიპტელებს, ურიებსა და არაბებს ჰქონდათ მიღებული სწორე ხელი წერაში, ამასთან დღესაც ისევ ისე სწორე ხელით სწერენ არაბები, ურიები. ახლა თქვენ გეკითხებით, ბ. გოგებაშვილო, საქართველო აქ რა შეუშია? საიდან რა გზის მაჩვენებელი იქნება იგი ამ შემთხეევაში ეროპისაოვის? ნუ თუ ამისთანა სიცრუეთაც თავის მოტყუება დაგეჭირდა ჩვენ უბედურებს?..

თვით წერა იდეოგრაფიული, იეროგლეფიური, ანუ ლურსმებრიი სხვა რა იყო, თუ არა სწორე?.. ამასთან არ დაიეწყოთ, რომ ეეროპის ხალხებსაც წერა შემოღებისათანავე აუცილებლათ სწორე ხელითვე უნდა დასწყებოდათ.

აი, ამე ბატონებო, საგნის განუბილველათ, საქმის შეუსწავლელათ ესკ,ით ხოლმე ჩვენში ყველაფერზე, რაც კი პირზე მოგვადგება.

რადგანაც ჩვენი სახალხო სკოლა ეერ წარმოგვიდგენია უდედენოთ, ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, მკითხველო, თუ ჩვენ ცოტა ხანს შეეჩერდებით ამ სახელმძღვანელოს აეკარგიანობის განხილვაზე.

ახლა ეიღრე ამ სახელმძღვანელოს შეეხებოდეთ, საჭიროთ ერაცხთ ამასთან თვით პედაგოგებზედაც მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა.

ჩვენ გეყოეს, ბატონებო, ორგვარი პედაგოგები: თავ-ზარდამცემნი და დამინებულნი. პირველი ჯგუფის პედაგოგები ყველა ერთ ყალიფზეა ჩამოსხმული: ტანით ახოეანნი, ბრეკნი, ერთი სიტყვით ისეთნი, რომელთა დანახვაზე ექიმი, უეჭველია, წამოიძახებდა: „люди съ хорошимъ питаніемъ“. მიხერა-მოხერა აქვთ მოუსეენარი, თითქო რაღაცა სწადიანთო. ყველა მთვანი ინგლისის ცნობილ მოხუც დეონსებსავით სულ ყმაწვილობენ, კოაწიაობენ; ასე ვასინჯეთ, მათი სიბერის ნაოჭებიც კი სახეზე ისე ლაზათიანაა, თანასწორათ მიღარეულ-მოღარეულა, თითქო ბუნებამაც იხუმრა მათზე და ერთ თვალთან რომ ამ ნაოჭებით რუსულათ წაუწერა მათ. „ыцъ!“ მეორე თვალთან დაბრაყვებულ ქართულზე: „ეგ ეი!“..

დაშინებული პედაგოგები ყველა თანაბრათ არიან გამხდრები, გაჭიუტულები ... ..ოს, კაღნიერებენ!.. წარმოიდგინეთ, ეს უკანასკნელნი ხანდისხან გაუთამაშებენ ხოლმე არხი-პედაგოგს, ბ. გოგებაშვილს: ხან აქედან წაჰკრავენ, ხან იქიდან, ერთი სიტყვით მოსენებას არ აძლეეენ საწყალს.

ბეერჯელ დამფიქრა ამ გვარმა მთმა საქციელმა. ეფუქრობდი, ალბათ განდიღების მადა აღძერიათ-მეთქი, ეეღარ მორიგებიან ბ. გოგებაშვილის დიდებას; ერთი სიტყვით დაუნის გეირგვენები მილტიადისა ძილს უფთხობს-მეთქი მათ..., მაგრამ არა, საქმით სულ სხვა აღმოჩნდა. მართალია, ეს დაშინებული პედაგოგები მართებულათ ეერ იქცე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატო სახელგამოცხადებით, დინჯათ, დარბაისლურათ არ გამართავთ სჯა-ბაასს მაგ საინტერესო კითხვებზე, გპასუხებენ:

მერე, დედა-ენას რომელი სულელი შეეხება სახელ-გამოცხადებით?.. თავდები ვინ იქნება, რომ ცოლ-შვილიანათ არ დაეიღუბებით?.. ან, თუ ნდაც რომ მოვინდომოთ, დაგებეჭდაენ კი სადმე დედა-ენის საწინააღმდეგოს?" ბევრ მწარე ფიქრებს აღმიძრავს ხალმე მათი ამ გვარი მსჯელობა.. მაგრამ ამ წერილმან „შენ-მე"-ობის გარდა ბევრჯელ გესმენია კიდეც ამ დაშინებულ პედაგოგებისგანვე ისეთი რიგანი საბუთებიც დედა-ენის ნაკლულოვანების შესახებ, რომ იძულებული ეხლებით აქ გავუზიაროთ მკითხველებს რამდენიმე მათგანი:

1) პირველი და შესამჩნევი ნაკლი დედა-ენისა ის არის, რომ ანბანი მისი ყოველად უვარგისი და შეუფერებელია ბავშთა სინორჩეესთანა. მას აკლია ის თანდათანობა (последовательность), ის სიმარტივე, რომელიც ერთათ ერთი საშუალებაა, რომ ბავშის ჯერ კიდე გამოუცდელმა ტვინმა ადვილათ დასძლიოს ის გონებითი და მეხსიერი პროცესი, რომელსაც ეკუთვნის წერა-კითხვის შესწავლა. ბ. გოგებაშვილი, პირველი გაკვეთილიდანვე დაწყებული, თითქოს ჯიბრზე, აყრის და აყრის უბედურ ბავშს სულ ახალსა და ახალ სიტყვებს, მაშინ როდესაც მას წინა გაკვეთილის სიტყვებშიაც ვერ შეუგნია ჯერ-ჯერობით კითხვის პროცესის საიდუმლოება. ან როგორ შეიგნებს, როდესაც წიგნის შემდეგ ფერი შეუბრალებლათ აყრის ზედ-ზედ ახალ სიტყვებს წაკაითხათ და იმავე დროს სულ ახალ-ახალ წარმოდგენებს (представленіе) გასათვალისწინებლათ. ნუ თუ პედაგოგმა ასე მოუფიქრებლათ, ბავშს ასეთი გონების დაღალვით უნდა იხელმძღვანელოს მის განვითარებაწარმატებისათვის? დასამტკიცებლათ გადფურცლეთ დედა-ენა და შეადარეთ, რომელი გაკვეთილიც გნებავდეთ. ეს არის მიზეზი, რომ წერა-კითხვის სწავლებას, რომელიც უნდა სრულდებოდეს სულ სამოცდ კვირაში, დედა-ენით ოთხს თვესაც ვერ ახერხებთ..

2) ბ. გოგებაშვილს უშინაკის მიზეზით თავისი დედა-ენა აუფია ძველსა და ახალ ალთქმიდან ამოღებული მოთხრობებით და ამასთან ჩაურთავს შიგ ჩვენი მაცხოვრისა, ღვთის-მშობლისა და სხვა წმინდანების სურათები. ჩვენ ქართველები, როგორც ძალის არ მქონებელი ერი, უნდა თავაზიანობით ვეეკეთოდეთ იმ ჩვენ ზორის მცხოვრებელ ხალხებს, რომელთაც ან გვარტომობა აქვთ ჩვენთან საერთო, მაგრამ სხვა სარწმუნოება მიუღიათ ვარემოების წყალობითო, ანუ გვარტომობთ არა აქვთ რა ჩვენთან საერთო, მარამ ჩვენი დედა-ენა იმათაც სამშობლო ენათ მიუჩნევიათ საუკუნოების განმავლობაში. მე მოგახსენებთ ჩვენ ქართველ ურიებზე და ქართველ მაჰმადიანებზე. ყველას თანაბრათ სამშობლო ენა ერთი გვაქვს, ხოლო სარწმუნოებით ერთმანეთში გაეირჩეეთ, მაშ, როგორა ჰგონია ბ. გოგებაშვილს, სამშობლო ენაზე კითხვის შესასწავლათ ქართველ ურიებს, ქართველ მაჰმადიანებს, ქართველ ფრანგებსა და ქართველ მართ-მადიდებლებს სულ სხვა-და-სხვა დედა-ენა უნდა შეეუდგინოთ?

3) თუ გესურს შესამჩნეელი გაეცნო ეიქმნიოთ ბავშზე და მის ხასიათზე, ერთი სტატეთ, რომ წიგნი იყოს ზნეობითი აღმზრდელი მოუფიასა, საჭიროა მიეცეთ მას წასაკითხათ მარტივი, სადა, ბავშების შესაფერათ დამთავრებული რამ აღწერილობა და არა რაღაც ყოველად უვარგისი ნაგლეჯები, სატენდენციოთ ბავშებისათვის მომზადებული, რომელთა წაკითხვით ბავში ირეკა, იბნევა და გონებათ ჩლუნგდება.

გადამალეთ თუნდაც 28 გვერდი დედა ენისა. აქ დამბეჭდილია: 1) „ზოდიენახოთ"—სიმღერის ნაგლეჯი, 2) ნუკას სკოლა, 3) მოსიყვარულე ამხანაგი, 4) პატარა ქალის ნატერა; 5) ყაყაჩო და ყმაწვილი და 6) სწავლაზე ზარმაცი, ლეკურზე მამაცი.

ამ გვარის სახისაა მთელი „დედა-ენა".

4) თითქმის ნახევარ ოდედა-ენისა დაჭერილი აქვს ეგრეთ წოდებულ „სასაუბროს", რომელთა დანაშნეულება, ეტეი არ არის, იმაში მდგომარეობს, რომ ბავშებს გაეცნონ მთ გარშემო მყოფი ბუნება.

ახლა განა პირველ-საკითხავ წიგნშია მათი ადგილი? ბუნება ბუნების საშუალებით უნდა გაიცნოს მოზარდმა, ცხოვრება ცხოვრებაში ჩახედვით უნდა

შეაგენინოს აღმზრდელმა და არა ოთხ კედელ შუა წიგნში ჩაკირკეტებით. ამ სასაუბროებს თუ აქეთ რაიმე მნიშვნელობა ისე მასწავლებელ-აღმზრდელთათვის და ამისათვის პირველ-საკითხ წიგნში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ. სულ დამღუპავი მონუარი მიბაძვის ბრალია, ჩემო მკითხველო.

ბალტაზარი

***

კეთ სნეულსა თანაუგრძნობს
მისხეკ მსგავსი სნეული.

ᲐᲑᲔᲚ

(ᲛᲘᲡᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲔᲢᲘᲣᲓᲘ)

ᲕᲐᲚᲘᲡ ძალიან ნაადრი გაზაფხულია, ჩემი უკანასკნელი გაზაფხული. თავ-მომწორე და ძლეა-მოსილი, გამაცოცხლებელი ჭინინი ძალა განახლებისა ჩემს გარემო ყოველგან თავს იჩენს. თოელი დიდი ხანია ნაკადულებათ იქცა და წავიდა, გაჭრა. მობბინე ბალახი საამურათ შრიალებს, ეაზი იცრემლება, თხილს თავისი საყურე-ბინზილები ჯერ არ დასცვინია და სიოზე ნელ-ნელა კეკლუცათ ირხეევა;—ყველგან, ყველგან ეხედავ, მესმის, ეგრძნობ რაღაც ცხოველ-მყოფელ ძალის მოქმედებას, მის გამარჯვებას. მოდის გაზაფხული, ლამაზი და წმინდა, ნათელი და თბილი, ძლიერი და ამაყი, მოდის ნელ-ნელათ, დინჯათ, აუჩქარებლათ: იგი დარწმუნებულია, რომ მის დიდებულ მსელელობას, დიდ სრბოლას ეერაფერი შეეფერხებს მოდი, მოდი!.. მოდი ჩქარა, ერთბაშათ, ნუღარ იგვიანებ! ხომ ეიცი, რომ შენი მოსელითთ ჩემი წასელის წამი ახლოვდება! რა კარგია, რომ ჩემი ეადა გაზაფხულზე თავდება, გადის! ეადა, დიაღ, ეადა! ჩვენ ხომ ყველანი მოჯამაგირენი ეართ, ბუნების მუშები! კიდევ კარგი, თუ გამოიმეტა რამე, თუ სულ ხელცალიერი არ დგასეი! თუ ბოლომდის შეგარჩინა ზინზილ-პიპილა და ყალბი ოქროს ბეყეერიალა ფეფინურები! ხშირათ კი, უფრო ხშირათ ჩვენ ისე გვიმსახურებს, ტყეელათ... ეიდრე საეჭორნი ეართ, ეიდრე ძალა შეგეწევეს, და მერე... მერე ეს უმადური და თეთი—რჯული ბატონი სასტიკი გულ-ციოვნით გვიშორებს თავიდან და ერთ წარბსაც არ შეიხრის! მისთვის სულ ერთია: პირნასთლათ ეასრულებდით ამ ნაძალადევ სამსახურს, თუ პირქუშათ, ერთგულნი ეიყავეთ, თუ ორგულნი, მორწუნენი, თუ ურწმუნონი!..

მე ძალიან ბევრი ეიცოცხლე,—მთელი ოცდაათი წელიწადი! ეს ხომ ოც-და-ათი საუკუნეა! მე მრცხენენია ასეთი ხანგრძლიეი სიცოცხლისა—არ ეარგა. მაგრამ, – მაღლობა ღმერთს!—ჩემი ყაელიც მალე გავა, ჩემი ეადა. რაღაც შეუბრალებელმა განეების ძალამ გადმომტყორცნა მე ამ ქვეყანაო, ჩამაგდო აზიერთგზეულ თეალ-გადუწედენელ ზღეაში და გულით იმდენათ იძუნწა, რომ ჩემს ახლო ერთი ნაფოტიც კი არ დამანაზეა, რომ ხელი ჩამეეელო. მეც ეიწყე ფორთხეა... ეიფორთხე, ეიფორთხე, ღონისაგან დაეცალე და აი ახლა ეხედავ, რომ ეიძირები. ჩემ სურეელს სად გასწედებოდა ჩემი ძალა!.. ჩემი სურეელ-ც ზღეასაეით უნაპირო იყო და ჩემი უღონო მკლაეები კი... უღონო! ეინ იცის, უღონო კი ეიყაეი? მაგრამ... მაგრამ ეს სულ ერთია! საქმე ის არის, რომ მე ახლა ხომ არაფერი ეარ და მალე სულ აღარაფერი ეიქნები. ჩემი ღღეები დათვლილია და, სანამ ჩემ ბაღში ხეები დაიყეავილებდენ, ჩემი საათი დაჭკრაეს და მაშინ—მშეიდობით!.. სად? ეინ იცის, სად?

კარგა ხანია, რაც მე ოთახიდან ფეი არ გამომიდგამს. სიცოცხლეს სულ მოეწყდი, გადაეჭეე. ნაცნობებმაც დამიფიწყეს; ეის რათ უნდა ეეთმყოფი? საქმე მე არა გამაჩნიარა, ან—რომელ ადათმყოფსა აქეს საქმე, რომ მე მქონდეს. ღღეს შეენიერი დარი იყო. ამისთანა კარგი მზე იშეიათათ მახსოვს. გაეალე თუ არა შუა ღღისას ფანჯარა—ღღეს პირეე-

ლათ გაგბედე—ოთახში მაშინვე შემოვარდა სუნელებით გაყუნებთილი ჰაერი. რამდენი ხანია, რაც მე წმინდა ჰაერი აღარ მისუნთქავს! გარეთ, ბაღში, საკვირველი ხმაურობა ისმოდა, სიცოცხლის გუგუნი იდგა. თბილად გახეფილი მიეუჯექი ღია ფანჯარას და ფრთებ დაჭრილ ფრინველივით ნაღელიანნი გავიყურებოდი. სიცოცხლე, სიცოცხლე, ყველგან სიცოცხლე! მხოლოთ აქ, ჩემ ოთახში მისი კვალიც, ნატამალიც კი არ იყო, მხოლოდ ეს ერთი კუთხე იყო მისგან დაეიწყებული. წამლის შუშები მწკრივათ და უთმიდოთ გადმოიყურებოდენ ბუხრის თავიდან და თითქო მეუბნებოდენ: „რად იტყუებ თავსა, ხომ იცი, ყოველიე შინი ცდა უგუნური თავალთ-მაქციობაა და ჩვენ ეერაფერს გიშველითო“. სეედით მოცული ვათვალიერებდი ნაცნობ მიდამოს, სადაც კი თვალი მიმიწედებ ოდა, ყველაფერი ძველებურათ იყო. მთის წყალს ჯერ კიდე სუფ არ ჩაეკლო ნელში ქშუილით მიჩმაურობდა. ბაშმის ქულასავით თეთრი ღრუბლები უძრავათ დასჩერებოდენ აყვავებულ ქვეყანასა. ფხეკერი მიწის პირი გამშრალიყო, მაგრამ მტეერს არ უშეეტდა. მთელი ბაღი, სადაც მრავალი ალუბლის ხეები იდგა, თეთრათ გადაპენტილიყო. მხოლოთ შიგა და შიგ მოჩანდა ნუშის მკრთალი ვარდის-ფერი ყვავილი. სათითაე კი მოვიყენე თვალი, ყველგან ერთსა და იმავე მხიარულ სურათსა ეხედავდი. ისე თვალი არ დამდალეია, როგორც ეული მაკეარნა ამ სიცოცხლით სავსე სანახაობამ. ბოლოს ერთგან შეეამჩნიე უფოთლო ხე, იგი სულ ვანაპირას ღობესთან იდგა, თითქო გინგებ გაშორებია თავის ყვავილოვან მოძმეთაო. არც ერთი ფოთოლი არ აშეენებდა მის შიშველს და ქერქ-აყრილს გაშეებულ ტოტებს, რომელნიც სპარალოთ ეემართა ზეცისაკენა. „გამხმარა, გამხმარა“, გავიფიქრე მე და—არ დაიჯერებთ!—მიამა, რომ ეს მართალი იყო. მე ვადარებდი ჩემ თავს ამ მწარს და ობოლ ხესა და რაღაც სიამოვნებასა ეგრძნობდი. ჩანს, მარტოობა მეტათ ძნელი ყოფილა. გამხმარა, „სწორეთ გამხმარა“ ეიმეორებდი მე და დარწმუნებული ეიყავი, რომ ჩემსაეით იგიც გრძნობდა თავის მარტოობას, თავის სიკედილსა. „შენც ჩემსაეით ყალელი გაგხეულხა“. ეუთხარი... ჩუმათ, და თვალს არ ეაშორებდი. ჯანმრთელი ადამიანი ეერ მიხვიდეს ჩემ სულის მდგომარეობას, და, მართლაც, სწორედ მაშინ, როდესაც მე ასეთი ნაზი თანაგრძნობით ეუმზერედი ამ ჩემი დაძაბუნებული სიცოცხლის ხატებას, სწორეთ ამ დროს, თითქო განგებ გაიღო კარები, შემოეიდა ჩემი მებაღე და მოხოვა ნება დამერთო მისი მოკრისა. ეს იყო რაღაც მზეეი, საშინელი მდეეი—კაცი, ნამდეილი გბორციელებული ძალა და სიცოცხლე. „არ შეიძლება!“—მკეეახეთ ეუთხარი მე. ის რაფსაც ტორტმანობდა, თითქო ჩემი პასუხი ეოცა. „ეამბმარია სულ ეამხმარია!“—მითხრა მან ერძალეეით მაკრამ დაბეჯითებით:—„სულ ერთია, ხომ ეეღარ ეამობრუნდება“. „რაო, ეეღარ ეამობრუნდეაო“, გაეიმეორე მე და ცახცახი დამაწეებინა. „—როგორი თუ ეეღარ ეამობრუნდება, ეინ გითხრა, რომ ეეღარ ეამობრუნდება? ეეღარ ეამობრუნდება!—მაშ მეც მომკალი, რაღას უყურებ?!.“—დავუყეირე გაბრაზებულმა და ხმა ჩამიწყდა. საწყალი მებაღე! იგი გაშრა, სრულიად დაიბნა და ისე იყურებოდა, რომ ალბათ ჭკუაზე შემცდარი ეეგრნე. ის ეერ მიმხედარიყო, რათ ეესარჩლებოდი იმ ეამხმარ ხესა, რომ ეამაცოცხა ისე უეცრივ. მან არ იცოდა, რომ მე მთელი ბაღის გაკაფვას უფრო ადეილათ დავთანხმდებოდი, ეიდრე იმ ერთ ეამხმარი ხის მოკრასა. ოხ, კმაყოფილო ადამიანო, რა უგრძნობელი მტერეალი ხარ! „დაიკარგე, დაიკარგე, აქედან! თვალითან აღარ დამენახო!“—ეყეიროდი მე გაცოფებული და ეგრძნობდი რომ თავბრუ მეხეეოდა.—სინამ მე ცოცხალი ეარ, იმ ხეს ეერაეინ შეეხებაო!..“

ან. დეკანოზიშვილი

წერილი სტამბოლიდან.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲨᲘ. - წინეთ საშინელი დღეს სცოდავენ.—ინეგდისი და ოსმალეთი.—სოფლეთი და მთი ჭირიგეი. —ერთ კეცს ადდი რაპ შეუღლია.—ესად ფუძა და მისი ასული მიმრთეულება.

ᲛᲐᲒᲐᲛ რამდენიმე წლის წინათ იყო სტამბოლი, ის დღეს აღარ არის. სულ ხუთი წელია, რაც ოსმალეთის ერმა ნელ-ნელა დაუწყო თვალის დეენება ევროპიელების მიმართულებას. ახლა ზწირათ შეხედებით თვით მამმადიან ფანატიკოსს, რომელიც ეეტყვის „ეიღუპებინო“. ერთი ადეილური გამოეიდა კაზარმიდან და ხმა-მაღლა წარმოთქეა საჯაროთ სიტყეა: „გაეპეუტეთ, ძმებო, თვალი, თორემ თუ ასე კიდეე რამოდენმე წელმა გასტანა, დღეეანდელი ჩეენი მართველობა დაღუპავს ოსმალეთსო: დღეს ნახეეარი სათათრეთი თვითონ სულტანს ეეუთვნის და სახეელმწიფო შემოსაელის ნახეეარი სულტანის საკუთარ ხაზინაში შედისო“. ამ

სიტყვის დასრულება არც კი დააცალეს, შეიპყრეს—დაატყვევეს და ყველას ეცონა, უეჭველათ დაახრჩობენო; მხოლოთ, საკვირველია, არა თუ არ დაახრჩეს, არც დაუსჯიათ. ერთი ადგილიდან მეორეში გადიყვანეს. საქმე ამით გათავდა. პოლიტიკური მოძრაობა სტამბოლში ახლა ძლიერ გახშირდა, ისე კვირა არ გაივლის, რომ თითო რამ მართველობის წინააღმდეგი არ მოხდეს. საზოგადოთ დღეს აქ უფრო განათლებული თაობა არის, როგორც ყველა სახალხო დაწესებულებაში, ისე სახელმწიფო სამსახურშიაც. ახლა ისე გაფრთხილებული ლაპარიკი, როგორც ამ ხუთი-ექვსი წლის წინეთ იყო, აღარ არის: პირდაპირ, მოურიდებლათ ამბობენ და გაიძახიან „ჩვენი დღევანდელი მმართველობა გვღუპავსო". ძლიერ ფრთხილათ არიან, რომ საზოგადო ამბოხება არ იქნეს. მთელ სტამბოლში თითქმის ყოველ ქუჩის კუთხეებში სამ-სამი და ზოგან ოთხ-ოთხი სალდათი დგას და ცალკე დარაჯებათ (12 კაცი) დადიან, პოლიციელებიც კიდევ სხვა.

რაც უნდა განათლება, რაც უნდა სასტიკი საშუალება შემოიღოს ოსმალეთმა, გინდა ყველა ერთ სული და ერთ გული მამულისშვილებიც გახდენ მაჰმადიანები, მაინც ესენი წინ ველარ წავლენ, რადგან ამათი რჯული და თვით ხალხის ზნე-ჩვეულება საუკუნოების განმავლობაში ისეთ ნაირათ ჩანერგილი აქვთ გულ-ღვიძლში, რომ იმის შეცვლა ყოვლად შეუძლებელია, სანამ ეს ხალხი ამ რჯულს აღიარებს. ეს „წინეთ საშინელი ხალხი, დღეს საცოდავი" გამხდარა. წარმოიდგინეთ, რომ ერთს სხვის ქვეშევრდომს შეუძლია სრულებით ეწინააღმდეგოს იმათ მთავრობას. რამოდენიმე კვირა გავიდა მას აქეთ, რაც ერთმა რუსის ქვეშევრდომმა მთელ პერის-ბეთოღლის (ერთ უკეთეს ევროპიულ ნაწილს შეადგენს, საცა ორასი ათასი მცხოვრები ითვლება ყოველი ჯურისა) მოუჭრა (ლაღუმით) ფეხის ადგილების არხი. რამდენიმე დღე მთელი გალატის ქუჩები აყროლებული იყო, ერთ ადგილას გასქდა კიდეც არხი და ის მიდამო სრულებით უწმინდურებით გაივსო. ბევრი ეცადეს, მაინც არა გაუვიდათ რა. „ჩემ ადგილში გზას არ მოგცემთო", ეუბნებოდა რუსის ქვეშევრდომი მილიონერი—პერსიელი „დჟევაშირ ზადე" (გვარია). ბოლოს დიდ ხვეწნასა და ვედრებას შემდეგ, ისიც ნება-ყოფლობით, მხოლოთ ერთი თვის ვადით ნება მისცა გაატარონ არხი, იმ პირობით, რომ ერთ თვეში იშოვონ ადგილი თავის არხისთვის. მთელი კვირა მუშები ეზიდებოდენ და აქცქვდენ ქუჩიდან უწმინდურებას ზღვაში. ამ ადგილს ეს არხი, აგერ ორმოცდა-ათ წელზე მეტია, რაც ყოფილა გაყვანილი და დღემდისაც იყო, ახლა კი ერთმა რუსის ქვეშევრდომმა იმდენი შეიძლო, რომ გზას აღარ აძლევს ქალაქს. ეს ადგილი და შენობები წინეთ თათრის ყოფილა, პერსიელს აგერ ხუთი-ათი წელია რაც უყიდია. დღევანდელი არხი ქალაქის ქუჩიდან ზღვამდე ამ ადგილს სულ ასი საჟენი ძლივს არის, და ახალი არხი რომ გააკეთონ, ის იქნება გაყვანილი ორი ათასი საჟენის სიშორეზე. ასე დაძაბუნდენ თათრები, რომ დღეს ეს მცირეოდენი ღონეც არ აქვთ თავიანთ ქვეყანაში—ტყუილი კი არ ყოფილა ნათქვამი: „რასაც დათესს იმას მომკიო", ვინც თავის დაარსებიდან, დასასრულამდე არავის სიკეთეზე არ ზრუნავს, ვისაც მარტო თავის თავი მიაჩნია უმჯობეს ყოვლისა და თავის ძალას ერთ რიგათ ხმარობს დიდსა და პატარაზე, მტყუანსა და მართალზე, უეჭველათ ისეთივე ბედი ეწვევა, როგორიც ეწვია ოსმალეთს. ამ უბედურებმა ჯერაც ვერ შეიგნეს თავიანთი ფანატიკური უმეცრების შედეგი და კმაყოფილნი ასე გაიძახიან: „ნური ალემი ალგი" არის (ქვეყნის სინათლე მაჰმადიანობაში არისო). დღესაც იმ აზრისანი არიან, რაც ასი და ორასი წლის წინეთ ჰქონდათ. სულ ჰამიდის დაუცხრომელმა მეცადინეობამ უმაღლეს სკოლებში და სხვა ჰკუის სავარჯიშო დაწესებულებაში იმის მეტი ვერა ჰქნეს რა, რომ მისივე სულტანის წინააღმდეგნი დასი შექმნეს.

„ინგლისი და ოსმალეთი" დღეს დაუძინებელი მტრები არიან ერთმანეთისა სომხეთის მოძრაობის გამო. ინგლისის გაზეთებსა და მის ბრაგა-ბრუგს რომ ვუყუროთ. სომხები უეჭველათ უნდა გაანთავისუფლონ. სჯასა და კამათსაც სტეხენ ხშირათ და აცხადებენ, თუ ოსმალეთმა ნება-ყოფლობით არ გაათავისუფლა სომხები, იძულებული ვიქნებით ომი გამოუცხადოთო, ვითომ სამი ჯავშნიანი გემიც მოიყვანა ტროადთან. ჯერ-ჯერობით მეტი არა უქნია-რა, რაც ყოველთვის მათი ჩვეულება და აზრია—ტყუილი ბრაგა-ბრუგი. თათრები შეეჩვიენ ინგლისელების ტყუილს და მათი ქადნის სრულებითაც არ ეშინიათ. დღეს ამათი უმთავრესი ყურადღება არის მიპყრობილი რუსეთისადმი, რასაც რუსეთი გადასწყვეტს ის იქნება. არც ინგლისს და სხვა სახელმწიფოს დღეს აქ რუსეთის ნახევარი გამავლობაც არა აქვს. ამას წინეთ ინგლისის დესპანმა მოინდომა სულტანის ნახვა, მაგრამ მიღებული არ იქნა „თქვენ შეგიძლიათ გარეშე საქმის მინისტრი ნახოთ და

მოეოპპარაკოოო“ ასე უპასუხა დიდმა ეეზირმა. ინგლის „პრემიერის“ როზბერის გამოცვლამ და სალისბიურის გამოსვლამ ცოტა არ იყოს შეაჩერა დღევანდელი მოძრაობა სომხეთის შესახებ. როგორც ჩანს თათრებს არც სოლისბერის აქვთ ნდობა, ამბობენ არც ამის ტუეილებს აქვს საზღვარი. მაგრამ ასე თუ ისე თათრები დარწმუნებულნი არიან, რომ ევროპიის სახელმწიფონი ერთმანეთში ეერ მორიგდებიან და ჩვენ ამით ჯერ კიდევ ბევრი დრო გავაქვსო ნეიტრალური ფორმის მმართველობით უნდა ეხელმძღვანელობდეთო, სანამ ევროპიელები ერთმანეთში მორიგდებოდენ ალბათ ჩვენც ერთი გზა გამოგეჩინდებაო და სხვა.

როგორც უნდა იქნეს, სომხები მაინც არ დაწყნარდებიან. მათი უზენაესი კათალიკოსის წყალობით იგინი კიდევ იმ აზრსა მტკიცეთ არიან, რომ სომხეთი გაგითავისუფლებამ, „სომეთი და მათი „ჰაიო�აc“ დღეს მთელი სათათრეთის“ და ევროპიის ყურადღებას იპყრობს, ყოველ სომეის ტაძარში „ჰაიოcაc“ ნათქეამ სიტყვებს იმეორებენ. ყოველ წაკითხულ სიტყვებს შემდეგ შეჰყვირებენ ხოლმე ყველა ერთ-ხმით „კეცე ჰაოსტან, კეცე ჰაიოcაc“ მკრდის (ოცოცხლოს სომხეთმა, ოცოცხლოს მამა მეკირტიჩმა). შიგ ტაძარში ხდება ეს ამბები და, თუმცა იქაურობა პოლიციელებით სავსეა, მაგრამ ტაძარში შესელას ეერ ბედავენ, არეულობა არ მოხდესო.

სომხეთის დღევანდელი მოძრაობის მიზეზთა თავდაპირველიდან დღევანდელ კათოლიკოსს თვლიან. ცხადია, რომ მან პირველმა დაიწყო ეს მოძრაობა სომხეთში, პირველმა გამოსცა მცირე აზიაში გაზეთები, დაარსა მონასტრებში პატრიოტული შკოლები ეს კაცეე იქნა გაგზავნილი ბერლინის კონგრესზე, ამასეე აწერენ მეცადინეობას, რომ 62 მუხლში ბერლინის კონგრესისა სომხეთიც მოხსენებული იქნა. როცა ის ბერლინიდან დაბრუნდა, აი, რა სიტყვა თქეა სომხების აქაურ საპატრიარხო ეკლესიაში: *) იცით, შეილებო, სად ეიყავი მე? მე ეიყავი იქ, საცა ორი უშეელებელი სახელმწიფოს ბედი გადაწყდა, საცა მთელ ქეეყნიერებას მშეიდობა დაუმყარდა და საცა რამოდენიმე პატარა-პატარა გვარებს თავისუფლება მიეენჭა-გაუფაროოდა. ბოლგარიამ მოიხეეჭა სრული თავისუფლება, აღდგა ერთი ნაწილი ქრისტეს მორწმუნეთა. ბევრი ნამდვილი ღეთის მმოსაეი ამოისუნთქეს ამას იქით თავისუფლათ ეს უნდა გვაპარებდეს ჩვენ და იმედს უნდა გვაძლეედეს, რომ არც ჩვენ ეიქნებით მოდამ დატანჯული. ახლა აგიწერთ რა ენახე ბერლინში და რამ მიიქცია ყველაზე უფრო ჩემი ყურადღება? იმან, რომ ერთი დიდი უზარ-მაზარი სუფრა იყო გაშლილი, რომელსაც შემოსხდომოდენ მთელი გამოჩენილი სახელმწიფოების წარმომადგენელნი, ამ სუფრაზე ერთი ნამეცეი ადგილი ჩემთვისაც დაეტოვებიათ მეც მიმიწეეს საადილათ, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მეგონა კარგათ ეიგებმებ ამ ევროპიული გემრიელი საჭმელებით-თქო, წამიეანეს და ერთ მოფრებულ კუნეულში დამსეეს. სულ ცოტა ნაბმა გაიარა (შემოიტანეს ერთი ეეეიერთელა გობი „ქიმეკეი“ (სომხური საჭმელია) ჩამოურიგეს ყველას და აგერ სულ ბოლოს მოიტანეს და ჩემს მახლობლათაც დადგეს ერთი კარგა მოზდილი ჯამი. ჩემმა მეზობლებმა ამოუსეეს კოეზები და ჩაიგემრიელეს პირი, მე კი, შეილებო, ერთი ნამეცეცეც არ მხედა, რადგან ყველას კოეზები ჰქონდათ და მე უკოეზოთ ეიყავი — ასე გამიკეუდა მოლოდინი და სასეე სუფრიდან მშიერი ავდექი. შემდეგ მორიგეს (რომელიც საჭმელს არიგებს ხოლმე) ეუსაყეედურე, მან მითხრა: რა ჭმი ბრალია, რომ შენ არ მომზადებულხარ და კოეზი თან არ წამოგიღია. აქ ყველა, ეინც სუფრას მოუჯდება კოეზი და დანა-ჩანგალი მომზადებული უნდა თან ჰქონდესო. აი, შეილებო და ძმებო, ასე მშიერი ავდექი სუფრიდან. იქ სრულებით გამოსადეგი არ ყოფილა ჩვენი ადამისეული ჩეეულება—თითებით ეჭამა. იქ ყოფილა საჭირო დანა-ჩანგალი და კოეზიო. „ერთ კაცს დიდი რამ შეუძლია“ ამბობენ, მაგრამ მარტო ამისთანებს როგორიც არის დღევანდელი მთელი სომხეთის კათალიკოსი მიკირტიჩი „ჰაიოcაc“ სომხეთის მამათ წოდებული. თვითონ დაიწყო და თვითონეე მოესწრება იხილოს თეის შეილების გამოხსნა ის იქნება სომხები „სიმონ-

*) ეს ზედმეწეენით კათალიკოსის ნათქვამს ეთანხმებაო მომითხრა ერმის აეაურმა მასაც იმ დროს მეეურეეელობისგან, როდესაც ამ სიტეეებს დროს, როგორც ამბობს ეკლესიაში დასწრებია.

მიმრქმელი". გეწამს, რომ ის გიმეორებს სიმონის ღვთიურს სიტყვებს და რა იხილავს სომხეთის თავისუფლებას, იტყვისო „აწ განუტევე მონა შენი, უფალო, სიტყვისაებრ მშვიდობით რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარები შენი"-ო. ამ ᲐᲬᲠᲘᲡᲘᲜᲘ არიან დღეს სომხეთის შვილნი, ღმერთმაც ქნას, მაგრამ ჯერ კი ამ იმედებში ბევრი მარტო ფართო ილიუზია რჩება.

დღევანდელი აქაური დიდი ეეზირი საიდ ფაშა, მართლა, რომ დიდი გაელენის პატრონი შეიქნა. დღევანდლამდი ყველა მინისტრებს შეეძლოთ სულტანის ნახვა და ახლა კი მარტო დიდი ეეზირი არის ამ უპირატესობის მოთვეეთ. თუ რომელმე მინისტრს ანუ უფროს მოხელეს რამე საქმე ექნება სულთან თან, ჯერ დიდ ეეზირს უნდა მიმართოს და შემდეგ თუ დიდი ეეზირი საჭიროთ დაინახავს, ხელმწიფეს ეტყვის. საიდ-ფაშის მეცადინეობით სულტანმა ინება რომ ყველა მინისტრს შეუძლია თავის თავზე დამოკიდებული სამინისტროს საქმე თვითონვე გადასწყვეტოს და აᲮ დიდ ეეზირს შეეკითხოს. ეჰთი სიტყვით საიდ-ფაშ.ს ხელშია დღეს სათთრეთისეკე ბედი. ᲬᲐᲓᲐᲣᲬᲣᲛ სულთაᲜთან სიარული და ᲐᲗᲘᲡ რამ უბრალო და სიმართლეს მოკლებული ამბებით გამრავლება შეილაგმა, ახლა ეერც დესპანები შეიძლებენ პატარა საქმეზე თვით სულთანთან მისვლას; რა სამინისტროსაც შეეხება იმათი დესპანობის კითხვა ამ სამინისტროს მინისტრს უნდა მიმართონ. „საიდ-ფაშა და მისი ახალი მიმართულება" დიდ იმედებს იძლევა სათათრეთის კეთილ დღეობისას. მისი უმთავრესი ყურადღება არის მიქცეული ნამდვილისა და უანგარო წეს-წყობილების დამყარებაზე, უთვალავი ტყულა მკამელ ჯაშუშების და მატყუარა ხალხის შემცირებაზე და თავისუფლებაზ და განათლების გაფართოებაზე. მისი გაეგზირების დღიდანვე თავისუფალი სიტყვა—წერა გაუჯარბესდა, დაშლილი წიგნებისა და უკვე აკრძალული მურად-ბეგის თარიხის (ისტორიის) კ-თ.ეს ისევ ნება მიეცა.

ᲘᲡᲣ ᲠᲐᲥᲕᲔᲚᲘ

რედაქტორ-გამომცემელი ახ. თ.-ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ქართული წიგნების გამოცემაზე.

ამ წლის შემოდგომიდან ვიწყებთ ჩვენ ᲭᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲛᲬᲘᲗᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ გამოცემას. ჩვენი მიზანია—მივაწოდოთ ქართველ საზოგადოებას და მოზარდ თაობას იაფი და ადვილ-გასაგები ენით დაწერილი უკეთესი თხზულებანი ყველა საგნიდან და მეცნიერებიდან. წიგნები იქნება უზეთ დასურათებული და უკეთეს ქაღალდზე დაბეჭდილი. თვეში გამოვა არა ნაკლებ თითო წიგნისა და ზოგჯერ ორ-ორიც. იმედი გვაქვს, რომ ქართველი საზოგადოება ხელს მოგვიმართავს ამ ახალ საქმეში და შეგვეძლებინებს კეთილად დავაგვირგვინოთ იგი.

ფასი გამოცემისა და თვითონ წიგნების სახელები გამოცხადებული იქნება ადეილ დროზე.

ᲐᲮᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲣᲠᲕᲐᲓᲒᲘᲜᲝᲗ. ეისაკ ᲭᲣᲠᲘ მონაწილეობა მიიღოს ჩვენ მიერ დაწყებულ საქმეში, ეთხოვეთ მოგვაწოდონ ხელ-ნაწერები ცალკე წიგნებად გამოსაცემად: ხელ-ნაწერები უნდა იყოს: ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ—არა უმეტეს 2—6 ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ თაბახისა და ისე დაწერილი, რომ შეიძლებოდეს აღწერილის დასურათება, და ᲓᲘᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ—არა უმეტეს —8 თაბახისა. ყველა ᲐᲢᲝᲠᲘᲡ მიიღებს ჩვენგან 2—3 კაპეიკა ყოველ დაბეჭდილ სტრიქონში. თუ საჭირო იქნება, ხელ-ნაწერს შეეასწორებთ და შეამოკლებთ. ეისაკ ᲭᲣᲠᲘ, შეუძლია დაგვეკითხოს, თუ რა წიგნი შეადგინოს ანუ გადათარგმნოს. თუ არ მოგპოვნა რომელიმე წიგნი, შეუძლია ჩვენგან დᲐᲬᲔᲠᲘᲡ. ეს წიგნები მთხოველს გაეგზავნება ფასადებულ ამანათით. პასუხისთვის ეთხოვთ გამოგზავნონ 7 კაპეიკიანი მარკა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲓᲠᲘᲡᲐ: Въ г. Тифлисъ, Ивану Павловичу Ростомову.

Ა. ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲝᲕᲘ.

ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ. „ᲙᲣᲠᲔᲚᲘᲡ" № 36-ᲨᲘ შესაბ გვერდის მეორე სვეტზე ლექსში „სნეული" ქვეეიდან შესაბ სტრიქონში წერია: „ორგული თავზე ტკბილათო"; უნდა იყოს: „ორგული თაფზზე ტკბილათო". იმავე ლექსში მეექვსე გვერდის პირველ სვეტზე მე-17 სტრიქონში შეცდომით წერია: „როგორც მოწაფეს მოძღვარი", უნდა იყოს: „როგორც მოწაფეს მოძღვარი".

Дозв. ценз. Тифлисъ, 26-го Августа 1895 г. (§) Тип. М. Д. Ротинянца (სტამბა, ᲐᲛ. ᲠᲝᲢᲘᲜᲘᲐᲜᲘᲡ) Год. пр., 41